

**საბროკერო კომპანია “რიონი კაპიტალის”
შეთანხმება
ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული
ხელმოწერის გამოყენების შესახებ**

წინამდებარე შეთანხმება ელექტრონული ხელმოწერების გამოყენების შესახებ (შემდგომში „შეთანხმება“) წარმოადგენს საბროკერო კომპანია „რიონი კაპიტალის“ (შემდგომში „ბროკერი“, „კომპანია“) კლიენტების მომსახურების რეგლამენტის (შემდგომში „რეგლამენტი“) დანართს და მის განუყოფელ ნაწილს. შეთანხმება ითვლება კლიენტთან დადებულად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კლიენტის მიერ საბროკერო მომსახურების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან. აღნიშნული შეთანხმების შესრულება სავალდებულოა როგორც ბროკერისთვის, ასევე კლიენტისთვის მხარეებს შორის ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. ძირითადი ტერმინები და განმარტებები:

წინამდებარე შეთანხმების ტექსტში გამოყენებული ტერმინები განმარტება შემდეგნაირად:

ავთენტიფიკაცია — პროცესი, რომლის ფარგლებშიც ბროკერი ელექტრონული სისტემების მეშვეობით ამოწმებს, რომ შესაბამისი ქმედება სრულდება კონკრეტული კლიენტის მიერ, მისთვის მინიჭებული ავთენტიფიკაციის მონაცემების (ლოგინი, პაროლი, OTP, SSO-სესიის მონაცემები და სხვა ტექნიკური პარამეტრები) გამოყენებით.

იდენტიფიკაცია — კლიენტის, როგორც სამართლებრივი სუბიექტის, დადგენა და მის მონაცემებთან დაკავშირება, მათ შორის Client ID Number-ის მინიჭება და გამოყენება, რეგისტრაციის, აღრიცხვის, KYC/AML პროცედურებისა და აუდიტის მიზნებისთვის.

კლიენტის შიდა იდენტიფიკატორი (Client ID Number) — ბროკერის მიერ კლიენტისთვის პირველადი რეგისტრაციის დროს მინიჭებული უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელიც:

- უცვლელია კლიენტის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში;
- გამოიყენება კლიენტის იდენტიფიკაციისა და ავთენტიფიკაციის პროცესებში;
- გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის, ლოგირების, აუდიტისა და ტრანზაქციების კვალის უზრუნველყოფისთვის;
- არ წარმოადგენს ავტორიზაციის საიდუმლო მონაცემს და არ გამოიყენება დამოუკიდებლად ელექტრონული ხელმოწერის გასაღებად.

ელექტრონული ხელმოწერა — ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც ერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და გამოიყენება კლიენტის ნების გამოხატვისა და დოკუმენტის შინაარსთან მისი თანხმობის დასადასტურებლად, საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული სანდო მომსახურებების შესახებ“ შესაბამისად.

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა — ელექტრონული ხელმოწერა, რომლის გამოყენება სავალდებულოა მხოლოდ იმ კლიენტებისთვის და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი ვალდებულება პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან. კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების წესი რეგულირდება ცალკე შეთანხმებით.

ელექტრონული დოკუმენტი — ელექტრონული ფორმით შექმნილი და შენახული მონაცემთა ერთობლიობა (ტექსტური, ვიზუალური, აუდიოვიზუალური ან სხვა), რომელიც გამოიყენება კლიენტსა და ბროკერს შორის დავალებების გადაცემის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული

უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელების, ტრანზაქციების შესრულებისა და შეთანხმებების დასადასტურებლად.

ელექტრონული დოკუმენტბრუნვა — ელექტრონული დოკუმენტების გაცვლის პროცესი კლიენტსა და ბროკერს შორის ელექტრონული სისტემების გამოყენებით.

საინფორმაციო საფაჟრო სისტემა (სსს) — ბროკერის მიერ გამოყენებული პროგრამული და ტექნიკური სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ კლიენტის წვდომას საბაზრო ოპერაციებზე, ანგარიშებზე, პორტფელებზე და კლიენტსა და ბროკერს შორის ელექტრონული კომუნიკაციის განხორციელებას (მათ შორის dxFINA, CQG და სხვა ანალოგიური სისტემები).

SSO (Single Sign-On) — ერთიანი ავტორიზაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის ავთენტიფიკაციას და წვდომას ბროკერის ელექტრონულ სისტემებზე, მათ შორის ორმაგი ავთენტიფიკაციის გამოყენებით.

ლოგინი (მომხმარებლის სახელი) — უნიკალური სიმბოლოთა კომბინაცია, რომელიც გამოიყენება კლიენტის ავთენტიფიკაციისთვის ელექტრონულ სისტემებში.

პაროლი — კონფიდენციალური სიმბოლოთა კომბინაცია, რომელიც ლოგინთან ერთად გამოიყენება კლიენტის ავთენტიფიკაციისთვის ელექტრონულ სისტემებში.

OTP (One-Time Password) — ერთჯერადი კოდი, რომელიც ბროკერის მიერ იგზავნება კლიენტის ვერიფიცირებულ ტელეფონის ნომერზე და გამოიყენება ავთენტიფიკაციის გაძლიერებისა და იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებების დასადასტურებლად.

ტელეფონის ნომერი — კლიენტის ვერიფიცირებული მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც მითითებულია კლიენტის კითხვარში და გამოიყენება OTP-ისა და სხვა უსაფრთხოების შეტყობინებების მისაღებად.

კომპრომეტირება — ნებისმიერი გარემოება, რომლის შედეგად ან რომლის ეჭვის არსებობისას კლიენტის ავთენტიფიკაციის მონაცემები (ლოგინი, პაროლი, OTP, SSO-სესიის მონაცემები ან სხვა) შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს მესამე პირებისთვის.

დაკავშირების სესია (სესია) — დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში კლიენტი ავთენტიფიცირებულია და უფლებამოსილია იმუშაოს ბროკერის ელექტრონულ სისტემებში.

1.2. სხვა ტერმინები

ტერმინები, რომლებიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული წინამდებარე შეთანხმებით, გამოიყენება იმ მნიშვნელობებით, რომლებიც დადგენილია:

- საბროკერო მომსახურების ხელშეკრულებით;
- „Rioni Capital“-ის კლიენტთა მომსახურების რეგლამენტით;
- ბროკერის სხვა შიდა დოკუმენტებით;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. შეთანხმების მიზანი და ზოგადი დებულებები

- 2.1.** წინამდებარე შეთანხმება ადგენს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების წესებსა და ზოგად პრინციპებს ბროკერსა და კლიენტს შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის განხორციელებისას, ბროკერის მიერ გამოყენებული ელექტრონული სისტემების, მათ შორის პირადი კაბინეტის, საინფორმაციო სავაჭრო სისტემების (სსს), SSO ავტორიზაციის სისტემისა და სხვა ელექტრონული არხების მეშვეობით.
- 2.2.** ბროკერსა და კლიენტს შორის საბროკერო მომსახურების ხელშეკრულების დადება ნიშნავს, რომ კლიენტი სრულად ეთანხმება წინამდებარე შეთანხმების ყველა პირობას და იღებს უპირობო ვალდებულებას მათი შესრულების შესახებ.
- 2.3.** კლიენტი ვალდებულია წინასწარ, ხელშეკრულების დადებამდე, ყურადღებით გაეცნოს წინამდებარე შეთანხმების ტექსტს. შეთანხმების რომელიმე პირობის მიუღებლობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია თავი შეიკავოს ბროკერთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისგან.
- 2.4.** წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს საბროკერო მომსახურების ხელშეკრულებისა და „Rioni Capital“-ის კლიენტთა მომსახურების რეგლამენტის განუყოფელ ნაწილს და გამოიყენება მათთან ერთობლივად.
- 2.5.** წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად:
- თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას მიიღოს და დაამუშაოს ელექტრონული დოკუმენტები;
 - მეორე მხარე იღებს ვალდებულებას ხელი მოაწეროს ელექტრონულ დოკუმენტებს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით, ამ შეთანხმებითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 2.6.** ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება ბროკერსა და კლიენტს შორის დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული სანდო მომსახურებების შესახებ“ მოთხოვნების დაცვით.
- 2.7.** ელექტრონული ხელმოწერა კლიენტის მიერ გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტების ხელმოწერისთვის, მათ შორის:
- ხელშეკრულებების დადებისას;
 - იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებების შესრულებისას;
 - ბროკერისთვის ნებისმიერი დოკუმენტის, განცხადების ან დავალების გაგზავნისას;
 - საბროკერო მომსახურებასთან და მასთან დაკავშირებულ სერვისებთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებისას, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობითა და რეგლამენტით.
- 2.8.** ბროკერი იტოვებს უფლებას, ცალმხრივად, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, შეიტანოს ცვლილებები და/ან დამატებები წინამდებარე შეთანხმებაში კლიენტის წინასწარი თანხმობის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ცვლილებები ხორციელდება საბროკერო მომსახურების ხელშეკრულებითა და რეგლამენტით დადგენილი წესით.

თუ კლიენტი არ ეთანხმება ბროკერის მიერ შეთანხმებაში შეტანილ ცვლილებებს, კლიენტს უფლება აქვს შეწყვიტოს საბროკერო მომსახურების ხელშეკრულება ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

- 2.9.** წინამდებარე შეთანხმების მოქმედი რედაქცია ხელმისაწვდომია ბროკერის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
- 2.10.** კლიენტი იღებს ვალდებულებას რეგულარულად გაეცნოს ბროკერის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ შეთანხმების რედაქციას, ცვლილებებსა და/ან დამატებებს და სრულად იღებს საკუთარ თავზე ყველა რისკს, რომელიც დაკავშირებულია ამ ვალდებულების შეუსრულებლობასთან ან არასათანადოდ შესრულებასთან.
- 2.11.** იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შემდეგ განაგრძობს ბროკერის ელექტრონული სისტემების გამოყენებას, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტების გენერირებასა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებას, ითვლება, რომ კლიენტი ავტომატურად ეთანხმება შეთანხმებაში განხორციელებულ ცვლილებებს.
- 2.12.** წინამდებარე შეთანხმება ძალაშია საბროკერო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ ბროკერის მიერ დადგენილი წესით არ გამოცხადდება მისი ძალადაკარგულად ცნობა.

მუხლი 3. ელექტრონული ხელმოწერის სტატუსი

- 3.1.** წინამდებარე შეთანხმების დადებით ბროკერი და კლიენტი ადასტურებენ და აღიარებენ შემდეგს:
- a. ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც იქმნება ბროკერის ელექტრონული სისტემების მეშვეობით კლიენტის ავთენტიფიკაციის მონაცემების გამოყენებით, წარმოადგენს კლიენტის ნების გამოხატვას და ითვლება ელექტრონულ ხელმოწერად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
 - b. ბროკერსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებებისა და რეგლამენტის შესაბამისად, ბროკერის ელექტრონულ სისტემებში გენერირებული და კლიენტის მიერ ელექტრონული ხელმოწერით ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტი ითვლება კლიენტის ხელნაწერი ხელმოწერის ეკვივალენტად იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით.
 - c. ბროკერის ელექტრონულ სისტემებში გენერირებული ელექტრონული დოკუმენტი ითვლება სათანადოდ შედგენილად და ხელმოწერილად იმ შემთხვევაში, თუ იგი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე შეთანხმების, რეგლამენტისა და ბროკერსა და კლიენტს შორის დადებული სხვა შეთანხმებების მოთხოვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
 - d. კლიენტის მიერ გაგზავნილი, ბროკერის მიერ ელექტრონული სისტემების მეშვეობით მიღებული და სწორი ელექტრონული ხელმოწერით ხელმოწერილი ყველა ელექტრონული დოკუმენტი მიიჩნევა ნამდვილ, ავთენტურ და კლიენტისგან წარმოშობილ დოკუმენტად და წარმოადგენს ბროკერის მიერ იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებების განხორციელების საფუძველს.
 - e. კლიენტის მიერ გაგზავნილი, ბროკერის მიერ ელექტრონული სისტემების მეშვეობით მიღებული და ელექტრონული ხელმოწერით ხელმოწერილი ყველა

ელექტრონული დოკუმენტი აკმაყოფილებს გარიგების წერილობითი ფორმით დადების მოთხოვნებს და აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც იდენტური შინაარსის მქონე ქაღალდზე შესრულებულ და კლიენტის ხელნაწერი ხელმოწერით ხელმოწერილ დოკუმენტებს.

- f. ოპერაციები, მათ შორის ტრანზაქციები და სხვა იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებები, რომლებიც ბროკერის მიერ სრულდება კლიენტისგან ელექტრონული სისტემების მეშვეობით მიღებული და ელექტრონული ხელმოწერით ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტების საფუძველზე, იწვევს იურიდიულ შედეგებს, რომლებიც იდენტურია ქაღალდზე შესრულებული და კლიენტის ხელნაწერი ხელმოწერით ხელმოწერილი დოკუმენტების საფუძველზე განხორციელებული ოპერაციების შედეგებისა და არ შეიძლება გასაჩივრდეს არც ბროკერის და არც კლიენტის მიერ მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ შესაბამისი ქმედებები არ არის დადასტურებული ქაღალდზე შედგენილი დოკუმენტებით.
- g. კლიენტი აცნობიერებს, რომ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება დაკავშირებულია ტექნიკურ და საკომუნიკაციო რისკებთან და იღებს საკუთარ თავზე იმ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ელექტრონული დოკუმენტების ხელმოწერასა და გადაცემასთან, რაზეც ბროკერი არ არის პასუხისმგებელი, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- h. ელექტრონული ჟურნალები, ლოგ-ფაილები, ელექტრონული მონაცემთა ბაზები, კავშირის პროტოკოლები, სერვერული ჩანაწერები, ელექტრონული დოკუმენტების არქივები და სხვა ტექნიკური და პროგრამული ჩანაწერები, რომლებიც ინახება ბროკერის მიერ და/ან წარმოდგენილია კომპეტენტურ ორგანოებში ელექტრონული ფორმით, წარმოადგენს დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებებს წინასასამართლო დავების, სასამართლო განხილვების, არბიტრაჟის, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების წინაშე, მათ შორის კლიენტის ავთენტიფიკაციის ფაქტის, ელექტრონული დოკუმენტის გაგზავნისა და მიღების თარიღისა და დროის, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების, აგრეთვე ელექტრონული დოკუმენტის შინაარსის დასადასტურებლად.

3.2. წინამდებარე შეთანხმების დადებითა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით კლიენტი ადასტურებს, რომ:

- a. იგი არის ქმედუნარიანი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და უფლებამოსილია გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა წინამდებარე შეთანხმებით დადგენილი წესით;
- b. სრულად გაეცნო წინამდებარე შეთანხმებას, ესმის მისი შინაარსი, ეთანხმება ყველა პირობას და იღებს ვალდებულებას მათი შესრულების შესახებ;
- c. უზრუნველყოფს, რომ მის ავთენტიფიკაციის საშუალებებზე (მათ შორის ტელეფონის ნომერზე, ელექტრონულ სისტემებზე წვდომის მონაცემებზე) არ ჰქონდეთ წვდომა მესამე პირებს;
- d. ინფორმირებულია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტების ღია ან უსაფრთხო საკომუნიკაციო არხებით გადაცემისას, აცნობიერებს აღნიშნულ რისკებს და სრულად იღებს მათ საკუთარ თავზე.

მუხლი 4. მხარეთა შორის დოკუმენტების ელექტრონულად მიმოცვლის წესი

4.1. ზოგადი წესები

- 4.1.1. ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენება კლიენტისა და ბროკერის მიერ ექსკლუზიურად იმ ელექტრონული დოკუმენტების ხელმოწერისთვის, რომელთა გენერირება, გაცვლა და დამუშავება შესაძლებელია ბროკერის ელექტრონული სისტემების ფუნქციონალის ფარგლებში.
- 4.1.2. ელექტრონული დოკუმენტის მისაღებად ან ბროკერისთვის გასაგზავნად, კლიენტი მოქმედებს შესაბამისი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის ინსტრუქციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე შეთანხმების, რეგლამენტისა და ეკრანზე გამოსახული მითითებების შესაბამისად და ფუნქციური დილაკების გამოყენებით იწყებს შესაბამისი ოპერაციის ინიცირებასა და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოწერის პროცესს.
- 4.1.3. კლიენტი ვალდებულია ელექტრონულ სისტემაში შეიყვანოს მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც მოთხოვნილია შესაბამისი ოპერაციის შესრულებისთვის, ეკრანზე განთავსებული ველებისა და ფუნქციური დილაკების გამოყენებით.
- 4.1.4. ელექტრონული დოკუმენტის ხელმოწერამდე კლიენტი ვალდებულია გაეცნოს მის შინაარსს და დაადასტუროს თანხმობა სრულ მოცულობაში. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შემდეგ კლიენტს არ აქვს უფლება წარადგინოს პრეტენზია ელექტრონული დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 4.1.5. კლიენტი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული და აუცილებელი ზომა ავთენტიფიკაციის მონაცემების კომპრომეტირების თავიდან ასაცილებლად. იმ შემთხვევაში, თუ ბროკერი მიიღებს ინფორმაციას კლიენტის მიერ ელექტრონული დოკუმენტების ხელმოწერისთვის გამოყენებული ნებისმიერი მონაცემის შესაძლო ან რეალური კომპრომეტირების შესახებ, ბროკერი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეაჩეროს ან შეწყვიტოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვა შესაბამისი ელექტრონული სისტემების მეშვეობით. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის განახლება შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის მიერ კომპრომეტირების არარსებობის სანდო დადასტურების შემდეგ.
- 4.1.6. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ელექტრონული სისტემა იძლევა ასეთ შესაძლებლობას, ერთი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება შესაძლებელია ერთი სესიის ფარგლებში რამდენიმე ელექტრონული დოკუმენტის ხელმოწერისთვის. ამ შემთხვევაში, კლიენტი ქმნის ელექტრონულ ხელმოწერას სესიის დაწყებისას ან ავტორიზაციის პროცესში და მიმდინარე სესიის ფარგლებში ბროკერისთვის გაგზავნილი ყველა ელექტრონული დოკუმენტი ითვლება ხელმოწერილად აღნიშნული ელექტრონული ხელმოწერით, თუ კონკრეტული ოპერაციისთვის ან ელექტრონული სისტემისთვის სხვა წესი არ არის დადგენილი.

4.2. დადასტურების კოდი (OTP)

- 4.2.1. დადასტურების კოდი (OTP) გამოიყენება კლიენტის მიერ ელექტრონული დოკუმენტების ხელმოწერისა და იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებების

შესრულებისას იმ შემთხვევებში, როდესაც ბროკერის ელექტრონული სისტემები ითვალისწინებს ან მოითხოვს ავთენტიფიკაციის გაძლიერებულ მეთოდს.

4.2.2. OTP-ის გამოყენება სავალდებულოა, მათ შორის, შემდეგი ქმედებების შესრულებისას:

- თანხის გატანა ან გადარიცხვა;
- აქტივების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გადატანა;
- კლიენტის საბანკო ან საკონტაქტო რეკვიზიტების შეცვლა;
- კლიენტის ფინანსურ ვალდებულებებსა ან რისკ-პროფილზე გავლენის მქონე ქმედებები;
- რეგლამენტით ან ბროკერის შიდა დოკუმენტებით განსაზღვრული სხვა იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებები.

4.2.3. OTP იგზავნება კლიენტის მიერ კითხვარში მითითებულ და ბროკერის მიერ ვერიფიცირებულ ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების ან ბროკერის მიერ დანერგილი სხვა ალტერნატიული უსაფრთხო არხის მეშვეობით.

4.2.4. ელექტრონული დოკუმენტი ითვლება ელექტრონული ხელმოწერით ხელმოწერილად იმ მომენტიდან, როდესაც კლიენტი სწორად შეიყვანს OTP-ს ელექტრონულ სისტემაში და დაადასტურებს შესაბამისი ოპერაციას.

4.2.5. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული დოკუმენტი არ არის დადასტურებული OTP-ის გამოყენებით იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი დადასტურება სავალდებულოა, აღნიშნული დოკუმენტი ითვლება ხელმოუწერლად და შესაბამისი ოპერაცია არ სრულდება.

4.3. კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება

4.3.1. კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენება მხოლოდ იმ კლიენტების მიერ და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი ვალდებულება პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან.

4.3.2. კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა არ გამოიყენება პირად კაბინეტში და არ გამოიყენება სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისას.

4.3.3. კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით ელექტრონული დოკუმენტების გაცვლა ხორციელდება ელექტრონული ფოსტის (e-mail) მეშვეობით, აგრეთვე საინფორმაციო სავაჭრო სისტემებისა და ბროკერის სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სისტემები ტექნიკურად უზრუნველყოფს კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერის მხარდაჭერას.

4.3.4. კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების დეტალური წესი, პროცედურები და პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება ბროკერსა და შესაბამის კლიენტს შორის დადებული ცალკე შეთანხმებით.

4.3.5. ბროკერის საინფორმაციო სავაჭრო სისტემებში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების წესები, რომლებიც არ წარმოადგენს კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებას, არ ვრცელდება იმ კლიენტებზე, რომლებიც მოქმედებენ კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობები

5.1. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია კლიენტის მიერ შემდეგი გარემოებების არსებობით, მათ შორის მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ მათით:

- კლიენტის მიერ არასწორი, არასრული ან მესამე პირის კუთვნილი ტელეფონის ნომრისა და/ან ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითება;
- მესამე პირების მიერ კლიენტის ტელეფონის ნომერზე, ელექტრონულ ფოსტაზე ან სხვა საკომუნიკაციო არხებზე წვდომა;
- კლიენტის მიერ ავთენტიფიკაციის მონაცემების მესამე პირებისთვის ნებაყოფლობით ან უნებლიედ გადაცემა.

5.2. ბროკერი არ აგებს პასუხს და არ უზრუნველყოფს ტექნიკური გაუმართაობების აღმოფხვრას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გაუმართაობები გამოწვეულია:

- მობილური ოპერატორების, ინტერნეტ-პროვაიდერების ან სხვა საკომუნიკაციო მომსახურების მომწოდებლების მიერ;
- კლიენტის ან მესამე პირის კუთვნილი ტექნიკური საშუალებების, მოწყობილობების ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით;
- საკომუნიკაციო ხაზების, ქსელების ან სხვა ტექნიკური ინფრასტრუქტურის შეფერხებით, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა.

5.3. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი ელექტრონული სისტემების მუშაობაში წარმოშობილ დროებით შეფერხებებსა და შეცდომებზე, აგრეთვე მონაცემთა დაკარგვაზე ან დაზიანებაზე, თუ აღნიშნული გარემოებები გამოწვეულია ბროკერის კონტროლს მიღმა არსებული მიზეზებით.

5.4. ბროკერი არ აგებს პასუხს კლიენტისთვის მიყენებულ შესაძლო ზიანზე, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონული სისტემების გამოყენებასთან, მათ შორის იმ ზიანზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ბროკერის მიერ კლიენტის ელექტრონული ხელმოწერით ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტების შესრულების შედეგად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი პასუხისმგებლობა პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით.

5.5. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე OTP-ის ან სხვა SMS შეტყობინების მიუღებლობაზე, თუ აღნიშნული გარემოება გამოწვეულია ბროკერისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, მათ შორის მობილური ოპერატორის ტექნიკური შეფერხებებით ან ქსელის გადატვირთვით.

5.6. ბროკერი არ აგებს პასუხს კლიენტისთვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია:

- კლიენტის ტელეფონის ნომრის, მოწყობილობის ან ავთენტიფიკაციის მონაცემების დაკარგვით;
- კლიენტის მიერ მესამე პირებისთვის ავთენტიფიკაციის მონაცემებზე წვდომის მიცემით;

- კლიენტის მოწყობილობაზე მავნე პროგრამების, ვირუსების ან სხვა არასანქცირებული პროგრამული საშუალებების არსებობით;
- ფიშინგის, სოციალური ინჟინერიის ან სხვა მსგავსი მეთოდების გამოყენებით მესამე პირების მიერ განხორციელებული ქმედებებით.

5.7. ელექტრონული დოკუმენტების ელექტრონული ხელმოწერით ხელმოწერისა და მათი ინტერნეტის მეშვეობით გაგზავნის შედეგად, კლიენტი სრულად იღებს საკუთარ თავზე ყველა რისკს, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონულ სისტემებზე მესამე პირების მიერ არაუფლებამოსილი წვდომის შესაძლებლობასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი წვდომა გამოწვეულია ბროკერის მძიმე დაუდევრობით ან კანონით გათვალისწინებული სხვა გარემოებებით.

5.8. კლიენტი პასუხისმგებელია:

- მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინებების მიღების ფუნქციონალის უზრუნველყოფაზე;
- შესაბამისი მობილური ოპერატორის სერვისების გააქტიურებაზე;
- ტელეფონის ნომრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებების შესრულებისას.

5.9. კლიენტი ვალდებულია ბროკერს დაუყოვნებლივ აცნობოს კლიენტის პერსონალურ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელიც მითითებულია კითხვარში, ასეთი ცვლილებიდან არაუგვიანეს სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში, ბროკერის მიერ განსაზღვრული საკომუნიკაციო არხების გამოყენებით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. კლიენტის მიერ ბროკერის ელექტრონული სისტემების გამოყენების, ელექტრონული დოკუმენტების გენერირებისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების წესები რეგულირდება წინამდებარე შეთანხმებით, საბროკერო მომსახურების ხელშეკრულებით, კლიენტთა მომსახურების რეგლამენტით და ბროკერსა და კლიენტს შორის დადებული სხვა მოქმედი შეთანხმებებით.

6.2. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ ელექტრონული დოკუმენტების, არამედ სხვა სახის შეტყობინებების ხელმოწერისთვისაც, მათ შორის საინფორმაციო და შეტყობინებითი ხასიათის დოკუმენტებისა და კომუნიკაციებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოყენება შეესაბამება წინამდებარე შეთანხმებასა და მოქმედ კანონმდებლობას.

6.3. კლიენტს უფლება აქვს შექმნას და ელექტრონული ხელმოწერით მოაწეროს ხელი მხოლოდ იმ ელექტრონულ დოკუმენტებს, რომელთა გენერირება და ხელმოწერა ტექნიკურად არის შესაძლებელი ბროკერის ელექტრონული სისტემების მოქმედი ფუნქციონალის ფარგლებში. ბროკერი იტოვებს უფლებას, უსაფრთხოების, რისკების მართვის ან ტექნიკური მიზეზების გამო, დროებით ან მუდმივად შეზღუდოს ყველა ან ცალკეული ტიპის ელექტრონული დოკუმენტების გენერირება და/ან ხელმოწერა.

- 6.4. კლიენტსა და ბროკერს შორის ნებისმიერი დავა, რომელიც უკავშირდება წინამდებარე შეთანხმების არსებობას, ნამდვილობას, შესრულებას, განმარტებას ან შეწყვეტას, გადაწყდება საბროკერო მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილი წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.